სახალხო გაზეთი

№ 701 ოთხშაბათი, 19 სექტემბერი 1912 წ. № 701

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის-თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 10 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

სამშაბათს, 18 ენკენისთვეს, ქ. ოზურგეთში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ექვთიმე ალექსანდრეს ძე ვასაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე მარო შვილებით: ნუცა, თამარა, გრიგოლი და გრიშა; ძმები—ალექსანდრე და როსტომი; მისი და—მართა; რძლები—ელენე და ასინეთი, ძმისწულები: მიხაკო, ვარლამი და ნინო მგელაძისა; და სიძე ანტონ მგელაძე. (1—29—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს 1912 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

1. **დათვი** ვოდევ. 1 მოქ. ჩეხოვისა, თარგ. გ. ვოლსკისა
2. პირველად ახალი ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა **მთის ზღაპარი** დრამა 3 მოქ. ამ პიესისთვის დამზადებულია ახალი დეკორაციები.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბნი გოგოლაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, შოაძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექიძე, გუნია, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. (3.1506.2)

მიიღება ხელის მოწერა

,,მოლიპულ გზაზე'' ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасія Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—23)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს 25—50 **კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი 1 **ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.10) **გუნდის გამგეობა.**

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის პიესა ,,მეგობრობა'', დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით **600** გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელელიშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3

სასტუმრო **უნივერსალი**

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახეიროა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სწრაფი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** (25·1484.9

ტფილისის სახაზინო პალატა

უცხადებს სახელმწიფო მიწის მოიჯარადრეთა და მიწის ღალის გადამხდელებს, რომ 1912 1914 წლებისათვის ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქში ზემოხსენებული გარდასახადი უკვე გაწერა სამაზრო და საოლქო საკრებულომ და ხარჯის გადამხდელებს უწყება დაურიგეს გარდასახადის აღნიშვნით. თუ საკრებულოთა მიერ შეწერილი გარდასახადები გადამხდელებს ებევრებათ, მაშინ ამ საქმის გამო არსებულ მინისტრის ინსტრუქციათა მე-47 მუხლის ძალით, ნება აქვთ 1912 წ. 25 ოქტომბრამდე განასაჩივრონ იგი მიწებზე ხარჯის გამწერ საკრებულოებში.

სოფლის საზოგადოებანი თუ სოფლები ასეთ განსაჩივრებას თავის რწმუნებულის ხელით აძლევენ, რომელთაც სასოფლო ან კერძო ყრილობა ირჩევს. (1.1508.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მჭედლიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. [illegible]010.109)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღთქ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . .	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.125)

საგურთალოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ.... ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 384)

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა

წიგნი

„დებულებანი ამიერ კავკასიის გამიჯვნის საქმისა“,

(„Положеніе о размежеваніи закавказскаго края“)

მესამე გამოცემა შესწორებული და **თვალსაჩინოდ შევსებული** ახალ განმარტებითა და 1897 წ. მაისის 26-ს გამოცემულ კანონთა დებულების ჩართვით, რომელიც გამიჯვნის საჩქარების საშუალებას ეხება. შეადგინა **კ. ე. დოლგოვმა,** ტფ. სამოსამართლო პალ.-ტის წევრმა. **ფასი 1 მ. 50 კ.** წიგნის საწყობი წიგნის ცენტრალურ სავაჭროში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი. (4.1485.4)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. წ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. [illegible] ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით, **წამლობა ,,606''-ით.** (წლ—1018—78).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—91)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—142)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შინგენულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—48)

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.14)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.24)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.196)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

კბილის ექიმი მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს ,,კორონკები'' და ,,ვსტავკები'' (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. (25—1504—3)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს

გ. გ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ. — ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.-დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგებ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.7)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—89)

ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.10)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ქართული პრესა

გაზეთ „კოლხიდა“-ში იბეჭდება ფრიად საყურადღებო წერილები: „სამი მიმართულება“. ავტორი ახასიათებს სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა მიმართულებას. ეგრედ წოდებულ „მესამე დასელთა“ შესახებ აი რასა სწერს:

„შეუძლებელია ცხოვრებამ მოითმინოს ის ბუნებრივი წინააღმდეგობა, რომელიც სუფევს დასელების პროგრამასა და ჩვენი ქვეყნის კონკრეტული პირობათა შორის. საქართველოს ეჭირვება თავისი საკუთარი წარმომადგენელი რუსეთის პარლამენტში, დამოუკიდებელი რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციისაგან, თავისუფალი, გამსჭვალული მარტო თავისი ქვეყნის ინტერესებით. რასაკვირველია, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენს დეპუტატს არავითარი მეგობრული კავშირი არ უნდა ჰქონდეს რუსეთის დემოკრატიულ ოპოზიციასთან. პირ-იქით, ასეთი კავშირი, ასეთი პოლიტიკური მეგობრობა და შეთანხმებული მოქმედება შეადგენს ერთს პირველ მოთხოვნილებას ჩვენი დეპუტატისთვის. უამისოდ ჩვენი მოღვაწეობა ფუჭი და უნაყოფო იქნება. მაგრამ თავისუფალი კავშირი ერთია და მონური დამოკიდებულება—მეორე. და ჩვენი დასელები ნამდვილ მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან იმ საერთო რუსეთის პარტიაში, რომელშიც ირიცხებიან. ჭეშმარიტად გასაოცარ მოვლენას წარმოადგენს ის უცნაური ფაქტი, რომ ყველა დაჩაგრული ერის მარქსისტები,—ებრაელები, პოლონელები, უკრაინელები და სხვ.,—რომელნიც შედიან საერთო რუსეთის ორგანიზაციაში, თავის შინაურ საქმეებში ერთგვარი თავისუფლებით სარგებლობენ და საერთო ორგანიზაციასთან ერთგვარი ავტონომიური კავშირით არიან შეკრული. მარტოდ მარტო ქართველმა დასელებმა ისახელეს თავი და თავის ერთეულთან მონური დამოკიდებულების შექმნა მოახერხეს. თუ პარტიაში ცენტრალისტური მიმართულება ძლიერია, ეს იმითაც აიხსნება, რომ ქართველები ნამდვილ ცენტრალისტებს უმშვენებენ მხარს; თუ ნაციონალური კითხვები პარტიაში მივიწყებულია და რეაქციონურ მოვლენადაც არის აღსარებული,—ამაში ქართველ დასელებსაც უდევთ თავისი წილი. გაბედულები ჩვენი დაბეჩავებული ხალხის წინაშე

ისინი წარმოადგენენ ნამდვილ ყურმოჭრილ მონებს თავის საკუთარ პარტიაში, მონებს, რამდენადაც მონობა თვითონ სწყურიანთ, რომელნიც გაუგებარი სიხარულით თვითონ მისწრაფვიან ამ სასირცხვილო მონობისაკენ. ჩვენს ქვეყანას ეკადრება თავისუფალი, დამოუკიდებელი წარმომადგენელი რუსეთის პარლამენტში: მისი უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა აძლევს მას ამ ბუნებრივ ელემენტარულ უფლებას—და ნუ ინებებთ და ნუ წაართმევთ მას ამ უფლებას!“

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ:** 16 სექტემბერს—ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფ. ბლაგოვიდოვი, ხოლო 17 სექტემბერს—სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი იეროფეი.

◆ **ტფილისის პოლიტეხნიკუმი.** ქალაქის გამგეობის დავალებით საქალაქო მიწის მზომელმა ხაზი შემოავლო 50 დესეტინა საქალაქო მიწას (ნავთლუღში), რომელიც ქალაქმა პოლიტეხნიკუმს უფასოდ დაუთმო. მოკლე ხანში ამ ადგილს თხრილით შემოფარგლავენ და მის გეგმასაც შეადგენენ. გეგმა გადაეცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომელმაც პოლიტეხნიკუმის შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს.

◆ ახალგაზდა მგოსანს **გელას** დაუმთავრებია ახალი ორიგინალური პოემა „აჩრდილნი“.

◆ **ფრინველთა გამოფენა.** 18 ოქტომბერს ტფ. „კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში ფრინველთა გამოფენა გაიმართება. გამოფენა 22 ოქტომბრამდე გასტანს.

◆ **საბოტანიკო ბაღის გაფართოვება.** ე. ა. ლოლაძისამ მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულს მიმართა, ბოტანიკურ ბაღის გასაფართოვებლად იყიდოს მისი ადგილი, 1,360 ოთხ-კუთხი საჟენი, რომელიც ბაღის გვერდით, სოლოლაკის ქედზე, მდებარეობს. ადგილს 4,000 მან. აფასებს.

◆ **გ. ზ. ქანანოვის საჩივარი.** როგორც ვწერდით, ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწედ ნამყოფმა გ. ზ. ქანანოვმა, რომელიც სამსახურიდან დაითხოვა გამგეობის წევრმა მ. ნ. ათაბეგოვმა, ქალაქის საბჭოში იჩივლა მ. ნ. ათაბეგოვზე. ამასთანავე ითხოვა, ადგილი კვლავ დაებრუნებინათ. საბჭომ თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა, ხოლო საჩივარი სრულიად არ განუხილავს.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს ივლისისა და აგვისტოს ნომერი (7 და 8), რომელიც ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ **წესიერი დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილებათა შეცვლის თაობაზე ქალაქის საბჭომ 17 სექტემბრს კრებაზე დიდხანს იქონია მსჯელობა. საბჭომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებლად იცნო ამ კრებაზე და აამორჩია ცხრა ხმოსნისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალა, ორის კვირის განმავლობაში ამ საკითხის გამო საბჭოს თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს.

◆ **ხმოსანი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი** ქალაქის საბჭომ საიურიდიო კომისიის წევრად აირჩია.

◆ **1912 წლის დამატებითი საქალაქო ხარჯთაღრიცხვა № 2,** რომლის შესახებაც თავის დროზე ვწერდით, ქალაქის საბჭომ უცვლელად დაამტკიცა.

◆ ცნობილმა **ვ. კაზარინოვმა** ტფ. გუბერნატორს საქალაქო დეპეშით მიმართა, სადაც განმარტა, რომ მისი საჩივარის პასუხად იუსტიციის მინისტრის წინაშე სამაზრო ამომრჩეველ კომისიის წინააღმდეგ, მიიღო ქაღალდი, რომლითაც აუწყებენ, რომ ეს საკითხი განსახილველად სენატში უნდა გადაეცეს. ამიტომ სამაზრო კომისიის დადგენილება, იმის გამორიცხვის შესახებ უკანონოა, და სთხოვს გუბერნატორს, რომ გააბათილოს ეს დადგენილება ან მისი ასლი მისცეს, რათა პასუხის გზაში მისცეს დამნაშავენი. გუბერნატორმა პოლიცმეისტერს წინადადება მისცა, რათა ბ. კაზარინოვს გამოუცხადოს, რომ კაზარინოვის გამორიცხვა, როგორც დამყარებული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კანონების 18 მუხლზე კანონიერია.

◆ **სათათბიროს არჩევნების გარშემო.** საარჩევნო კრებებზე შესასვლელი ბილეთები ქალაქის გამგეობამ უკვე დაამზადა და პოლიცმეისტერს გაუგზავნა ამომრჩეველთათვის დასარიგებლად. გუშინ პოლიცმეისტერმა ბილეთები ბოქაულებს დაუგზავნა და დაავალა, სამის დღის განმავლობაში ბილეთები ამომრჩევლებს ხელში ჩააბარონ.

◆ **საზოგადო კლუბში.** 22 სექტემბერს თავ. გ. მ. თუმანოვი კლუბში (აბას-აბადის მოედანი, 7) წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე: „ჩვენი კანონმდებლობა უკანასკნელ წლებში (მესამე სახელმწიფო სათათბიროს მოქმედება)“ 29 სექტემბერს ა. ბ. მდივანი წაიკითხავს რეფერატს ამ თემაზე: “პარლამენტის გარეშე მოღვაწეობა ინგლისში“

◆ გუშინ, დილით, ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, სახელდობრ გამგეობის წევრის თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვის კაბინეთში, ჭერი ჩამოინგრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. კაბინეთი სხვა ოთახში გადაიტანეს.

◆ **ბიბლიოთეკა.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ავლაბრის საზოგადო კლუბთან გახსნან ბიბლიოთეკა, სადაც იქნება რუსულ-ქართული და სომხური წიგნები. პასუხის მგებლად ექიმი ი. ს. იგიტიანცი დაინიშნა;

◆ **რედაქციამ მიიღო** ახალი წიგნი: **„ქართული მოკლე გრამატიკა“** შედგენილი **ი. ნიკოლაიშვილის** მიერ. ფასი ყდით ერთი აბაზი.

◆ დ. გუდაუთში (სოხუმის მაზრა) იხსნება **ქ. შორ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება.** ნებართვა აღებულია.

◆ **ტფ. საბოტანიკო ბაღის** უფროსი სპეციალისტი მ. სავიჩი გაიგზავნა ბუხარასა და ფერგანიასა და სამარყანდის ოლქებში, სადაც მან უნდა შეისწავლოს გეოგრაფიული და საბოტანიკო მხარეები. გარდა ამისა უნდა შეაგროვოს მასალა ტფ. საბოტანიკო ბაღის მუზეუმის განყოფილებისათვის.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ: იოსებ ბაღდასარსაროვი, თევდორე კოხარიგინი, მარე ფედოროვი და თედორა ბუკუროვისა

◆ 16 სექტემბერს ვერის მისახვევში იპოვეს ბავშვი, მდედრობითის სქესისა. ბავშვი ოლგას საბავშვო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 17 სექტემბერს ტფ. 35 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება მოხდება 21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე. განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) მიწათმოქმედების დეპარტამენტის ამერიკის წარმომადგენლის კრიშტოფოვიჩისა „ხილის გახმობის შესახებ და 2) მიმდინარე საქმეები.

სასამართლო

◆ **გაზეთ „სინათლის“ რედაქტორის საქმე.** გუშინ, 18 სექტემბერს, ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია ქართულ გაზეთ „სინათლის“ რედაქტორის ივ. პავ. როსტომაშვილის საქმე. ეს საქმე პალატაში გუშინ მესამედ გაირჩა, რადგანაც პალატის ძველი განაჩენი სენატმა გააუქმა. გუშინ ბ-ნი როსტომაშვილი სასამართლომ დამნაშავედ იცნო და ერთის წლის ციხე მიუსაჯა. სასჯელში ჩაეთვლება ის სამი თვე, რომელიც ციხეში გაატარა.

ბორჯომი

◆ 17 სექტემბერს, დილის 7 საათზე, ბორჯომიდან 9 ვერსის მანძილზე ფოსტას თავს დაესხნენ ყაჩაღები და სამი სეფარიდან სროლა დაუწყეს. ფოსტას შვიდი საეროზო დარაჯი და ფოსტალიონი მოსდევდა. სროლის დროს მოკლულ იქნა ორი დარაჯი და სამი ცხენი. ბოროტმოქმედთ სწრაფად დაედევნენ ბორჯომის დარაჯები და მეთხუთმეტე ვერსზე წამოეწივნენ, სადაც გაიმართა სროლა. ორი ყაჩაღი მოჰკლეს. ფოსტა გადარჩა.

სომეხთა ცხოვრება

◆ ქალაქ ფეოდოსიაში (ყირიმი) მყოფი სომეხთ-კათოლიკეთა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ერთი წლის წინედ ლათინთა სასულიერო მთავრობის ხელში გადავიდა, ისევ სომეხ-კათოლიკებს დაუბრუნეს, რადგანაც იგი ყოფილა დედოფალ ეკატერინე მეორის მიერ ნაჩუქარი.

სოფლად

◆ **სიღნაღის მაზრა.** 12 სექტემბერს ოთხი შეიარაღებული უცნობი ლეკი საქობოს ბორნის ს. ყარაულოში შეიჭრა, ლაგოდეხის ტყის მცველს თედორე დოდაშვილს წაართვა ბერდანის თოფი, ბორნის დარაჯს ბესიკო გელაშვილს თოფი და ფული და სოფ. კოვაჩხელას ტყეში მიიმალნენ.

— მუკუზანის საუფლისწულო ტყის მცველმა შტანკოვმა, ზაგანის აგარაკთან ტყეში რამდენიმე უცნობი კაცი შეამჩნია. მან ორჯერ დაუძახა და რადგანაც პასუხი არ მიიღო შეეშინდა ყაჩაღები ჩამოსაფრდნენო ამიტომ თოფი ესროლა და მოკლა ერთი უცნობთაგანი, რომელიც ვანო ვარდოსანიძე აღმოჩნდა.

◆ **ჩაილური** (ქიზიყი). 8 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, სოფელ ჩაილურსა და ბურდიანს შუა, რევოლვერებით შეიარაღებული სამი უცნობი დაეცა კახეთის რკინის გზის მუშათა დამქირავებელ წვრილ მოიჯარადრე მოსე სვიმონის ძე ვინიკინს, **წაართვეს 570 მანეთი** და გაიქცნენ. რკინის გზის მომუშავეების დახმარებით ერთი მათგანი შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოხატაურის მცხოვრები ივ. ელიზ. ბერიშვილი.

არჩევნების გარშემო.

თავ. ვლ. მიქელაძის ჯგუფის დამარცხება.

16 სექტემბერს მოხდა წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევა ქუთაისში. არჩევნებში გაიმარჯვეს შეერთებულმა დემოკრატიულმა ჯგუფებმა, თავ. ვლ. მიქელაძის ჯგუფი კი სასტიკად დამარცხდა. აი სია იმ პირთა, რომლებმაც ყუთი დაიდეგეს: დ. ნიკოლოოზის ძე ავალიანი (86 თეთ. 50 შავ.), ნიჟარაძე ა. კაციას ძე (87 თ. 58 შ.), ნიჟარაძე ი. სოლომონის ძე (85 თ. 61 შ.), ლობჟანიძე მელიტონ (85 თ. 51 შ.), ასათიანი მელ. პეტრეს ძე (82 თ. 57 შ.), რატიანი სილოვან (84 თ. 56 შ.), ნიჟარაძე ე. გლახუას ძე (84 თ. 52 შ.), ქუთათელაძე თ. გრიგ. (84—54), აროშიძე ვ. სოფრომის ძე (83—55), გოგოლაშვილი კონსტ. (83—54), კახიანი ნესტორი (83—54), კახიანი ი. გლახუას ძე (82—56), ქუთათელაძე ნ. გლახუას ძე (82—56), კანდელაკი ე. ივანეს ძე (82—56), როინიშვილი გიორგი რევ. (82—54), ქუთათელაძე ლუარს. ოტ. (82—55), ქუთათელაძე გიორგი სიმ. (81—57), ლოლობერიძე ვლ. ლ. (81—59), ნიჟარაძე დიმ. ანტ. (80—66), ჩხეიძე აკაკი სოლ. (80—57), კახიანი ევგენი დ. (80—58), ნიჟარაძე ი. ნ. (80—54), მიქელაძე ი. ადამირ. (79—70), მიქელაძე დიმ. დავ. (79—59) წულუკიძე ალ. დავ. (79—58), რატიანი ილარ. ივ. (79—58), კახიანი ა. მიხ. (79—58), ლორთქიფანიძე ქ. (78-67), წულუკიძე გ. ივ. (78—67) ქაჯაია ლ. მ. (78—74), ქუთათელაძე ვ. ალ. (78—61), კახიანი ნესტ. ბეს. (78—61), მიქელაძე კოს. შ. (75—70), მიქელაძე ა. როსტ. (75—70) ქაჯაია ვლ. პეტ. (75—71), ქუთათელაძე მელქ. (74—64), ლორთქიფანიძე მანუჩარ (74—71), მიქელაძე მიხ. დიმ. (73—78), მიქელაძე ლევ. ბეს. (73—77), მიქელაძე აპ. (73—79), მესხი ისმ. (72—72), ნიჟარაძე დავ. პანტ. (72—72), მიქელაძე ალ. ნიკ. (70—79), მესხი გიგო ნიკ. (70—75), მიქელაძე ივანე (70 74), ჩხეიძე ნიკ. ბეჟ. (68—78), მიქელაძე მელქის. დიმ. (68—78), მიქელაძე მიხ. პავ. (65—80), მიქელაძე გიორგი ბეგ. (63—89), ლორთქიფანიძე ხასელო (62 83), მიქელაძე ვახტ. შაქ. (59—86).

დასახელებულ პირთაგან თავ. ვლ. მიქელაძის მომხრეა მხოლოდ ოთხი კაცი.

—

ხაშურისა და ქვიშხეთის (გორის მაზრა) გლეხების რწმუნებულთა არჩევნები მოხდა 16 ენკენისთვეს. აირჩიეს ქიტიაშვილი და ლონქაშვილი, რომელნიც ხმას იმას მისცემენ, ვინც ეროვნულ პოზიციაზე იდგება.

ფოთიდან გვწერენ: ამომრჩეველთა ერომა ჯგუფმა თავის საორგანიზაციო კრებაზე ამომრჩევლად დაასახელა ორი კაცი: ბ. ბ. მ. ესაკია და კ. გამყრელიძე. ორივენი კიტა აბაშიძის მომხრენი არიან.

16 ენკენისთვეს სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) მოხდა გლეხთა რწმუნებულების არჩევა. დაესწრო ორასამდე კაცი. ხმათა უმრავლესობით რწმუნებულად აირჩიეს დავით ხიზანაშვილი და ასლამაზიშვილი.

ოქტომბრისტების შიში.

სამღვდელოების გამოსვლამ საარჩევნო ასპარეზზე ოქტომბრისტები საგონებელში ჩააგდო: სამღვდელოების გაძლიერება მეოთხე სათათბიროში ოქტომბრისტების ძალას ძირს გამოუთხრის. ამის გამო ოქტომბრისტები ჰფიქრობენ გაგზავნონ დეპუტაცია კოკოვცევთან, რათა მან ყურადღება მიაქციოს საბლერის საარჩევნო კამპანიას და მიუთითოს ის საფრთხე, რომელიც მეოთხე სათათბიროს მოელის. დეპუტაციაში შევლენ: გუჩკოვი, ლერხე, კამენსკი და ანრეპი. თუ ეს დეპუტაცია არ შესდგა, გუჩკოვი კერძოდ ინახულებს კოკოვცევს.

უიმედო კანდიდატი.

როგორც საქმის ვითარება გვაჩვენებს, რუსის ნაციონალისტების ლიდერის, ბალაშოვის კანდიდატურა უიმედოა.

ძველი ღვთაების ტაძარი ს. იყალთოში

კახეთში ცივ-გომბორის ერთ კალთის ძირში ამაყად სდგას ღვთაების ტაძარი. როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული ეს ტაძარი ქართულის სტილით არის ნაშენი, ფართო ეზოთი გალავან შემოვლებული. კანკელი ეკლესიაში ძველი მხატვრობისაა სამ სართულად. პირველ რიგი როგორც წესია ალსავლის კარები, მარჯვნივ და მარცხნივ მაცხოვარი და ღვთისმშობელი, მარჯვნივ კარებზე მთელის ტანით იოანე ნათლის მცემელი, მარცხნივ მთავარ ანგელოზი მიხეილი, მეორე რიგში, კანკელის შუა ადგილას, მაცხოვარი და აქეთ იქით ღვთისმშობელი და იოვანე ნათლისმცემელი. ამავე რიგში მარჯვნივ და მარცხნივ მოციქულები. ამ მოციქულებში ერთს აყუდებული უჭირავს თავის სიმაღლე უშველებელი ხერხი, ბირდაპირზე ბევრად დიდია და ეძახიან თალლამების და მორების ხერხს. არსად არ მინახავს ასეთი ნახატი და მიტომ მიიქცია მან ჩემი განსაკუთრებითი ყურადღება. მესამე რიგში შუაში მამა ღმერთი, საბაოთ, მარჯვნივ წინასწარმეტყველები დავით მეფე ქნარით ხელში და ისაია. მარცხნივ მოსე წინასწარმ. სჯულის ქვებით და ძმა მოსესი აარონი საცეცხლურით. კანკელი თავდება ჯვარცმით. კანკელის მარჯვნივ და მარცხნივ არის ხის სახატეები, რომლებიც როგორც ეტყობა შემდეგაა გაკეთებული. მარჯვნივ სახატეები, სვეტიცხოვლის ხატია სხვანაირად ნახატი ვიდრე საბინინისა: შუაში აღმართულია სვეტიცხოველი, რომელიც ანგელოზებს უჭირავთ ხელში, ქვეშ მიცვალებული სიდონია, სვეტის თავზედ მაცხოვარი და კიდე ზეით მამა ღმერთი. სვეტს გვერდით მთელის ტანით დახატულია ანგელოზი, რომელსაც ორივე ხელში უჭირავს გაშლილი კვართი უფლისა. ამ ხატს ქვეშა აქვს წარწერა:

„ღვთისადმი განსვენებულის მამა გაბრიელის მღვდელ-მონოზონის სურვილი აღვასრულე მე იონა ხუცეს მონოზონმან ხატებისა ამის დახატვით. გარნა მუნ დასვენდეს სადაცა მიტროპოლიტ ბოდბელ იოანემ ინებოს. წელსა ჩყლზ თვესა აგვისტოსა ვ.“

ამ სვეტი-ცხოვლის ხატის თავში მარჯვნივ პატარა რგვალ რკალში დახატულია წმინდანი წარწერით:

წმ. ზენონი და მარცხნივ წმ. აბბა იოსები.

ამავე სახატეშია ღვთაების ხატი მოვერცხლილი და ოქროში დაფერილი ასეთის წარწერით: თკით მამულისა არსებისა ხატო უცვალებელ სიტყვაო ღვთისაო პატივად შენ პირმშოსა სახისა შევამკევ ხატი ესე შენი და მოძღვანე ტაძარსა ღვთაებისასა წმ. მამისა არსენ იყალთოელსასა მშობელთა ჩემთა სასაფლაოსა მონამან შენმან მაყაშვილის ომანის ძემან ბოდბელ მიტროპოლიტმა იოანე სალხინებლად ჩემდა და მშობელთა და ძმათა. წელსა ჩღჟთ. აქვე მოზრდილი ხატია მაცხოვრისა ვერცხლის შარავანდედით და ასო მთავრული წარწერით: „იესო ქრისტე“.

მარცხნივ სახატეში სხვა ვერცხლით შემოსილ ხატებთა შორის, არის ღვთაების ხატი მძიმეთ შევერცხლილი და ქვეშ ვერცხლისავე ფიცარზე ასეთი წარწერა ამოვიკითხეთ:

ქართული ლექსიკონი

4*)

დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი.

I

ამ შრომის ზე-სათაური აღნიშნულია სამის სიტყვით: „საუნჯე ქართულის ენისა“.

საუნჯე ნიშნავს უნჯსაც და უნჯის შესანახავ სახლსაც, საცავს. სამწუხაროდ, ზე-სათაურს რამდენადმე ეკამათება თვით შინაარსი, საცა სიტყვების უამრავ ნაწილს მოსმული აქვს მათ უცხოურობის მაჩვენებელი: „სომხ“, „სპარს“, „არაბ“, „ბერძნ“, „ლათ“, „ოსმალ“, „ფრანც“ და სხ. ამ მხრივ, უპრიანი იქნებოდა, ჩუბინაშვილს თავის საუნჯისთვის დაერქმია არა „ქართულ-რუსული“, არამედ „ქართულ და უცხოურ(!) სიტყვათა ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

ჰკითხულობ ამ უცხოურ (!) სიტყვათა გრძელსა და ცისკიდემდის გაბაზრულ-გაჭიმულ სიას და ჰკვირობ, რა რჯის პატიოსან ადამიანებს, რომ გულ-ბეჯითობით ჰკორტნიან ღვიძლს ენას მაშინაც კი, როდესაც ამის ნებას არ იძლევა სინათლე საგნისა, სიცხადე სარკვევისა.

ორიოდე მაგალითი.

„**იავარი** სომხ.“ მისი ბადალია ავარი. ინი ხშირად ვარდება: ილღია=ღლია, იავარძმა=ვარძმა (უვარყოფა), იდაყვი=დაყვი, იმისი=მისი, იისფერი=ისფერი, იაფი=იეფი=ეფი (974 წ. დავითნი, ფს. 121. 7: იყავნ მშვიდობაჲ ძალითა შენითა და **იეფობა** გოდოლ-ტაძრებსა შენსა). იავარება (ავარება) უდრის აარებას და ორივე აღნიშნავენ აკლებას. ავარი იგივე ნა-ავარია, შეად. ნა-არი **).

ეზეკ. 29, 19 იავარყვნეს ავარნი სლავ. расхитить корысти; რუს. ограбить ограбленное.

დაბად. 14, 11 წარიქციეს ყოველი იავარნი და ყოველი ჭამადი. **იავარი** ბერძნულ ალექსანდრიულში იპპონ=სლავ. конныя რუს-შია имущество; ჭამადი—ბერძნულად ვრომატა (ჭამადი), სლავ. брашна, რუს. запасъ, სომხ. ავარ—добыча; იქვე 14, 16 შემოაქცია ყოველი იავარი; იქვე 24, 29 რაოდენი რაჲ სახლებსა შინა, იავარყვნეს разграбили ესაია 8, 1 იავარი ნატყვენავთა плѣненіе корыстей.

იერემ. 17, 3 ფასნი შენნი იავრად მივსცნე Сокровища твои отдамъ на расхищеніе იქვე 21. 9 იყოს სული მისი საავროდ. ალექსანდრიულში „სკულა“ ცარცვა-გლეჯა, ტყავ-გაძრობა, ოხრება. მისგანვე: საავარებელი=საარებული, საარება, საარებლობა, საარებულობა, საარებული და ს. არება=ვარება, სჩანს, მოდის.

„**ალიონი** ბერძნ.“ როგორ იქნება ბერძნული, როდესაც ქართ. **ალი** უდრის სვანურს ჰალ, ხოლო ალიონი სვანურს ჰალვენ, მეგრ. ალიონი.

„**ამხანაგი** სპარს.“ იქ კი არის რაფიყ ანუ იარი-მუფყ და არა ამხანაგი!

„**ბალი** სპარს.“ თათრულად, დაღისტნელთა ენებზე და სხ. ყველგან აღმოსავლეთში იხმარება ბალი. ვინ ვისგან ისესხა, ალლახმა იცის.

„**ბამბა** სპარს.“ თათრ. ფამბუხ, სომხ. ბამბაკ, კავკასიანთა ენებზე ფამბუხ, ფრანგ. პაპიე, სპარს. ფანბა. სად არის ის ბებია, რომელიც დასწრებოდეს ამ სიტყვის შობას და ყოფილიყოს მისი მიმრქმელი?

„**ბანი** სპარს.“ იქ მხოლოდ ბუმ-ია და არა ბანი!

„**ბარი**—ვაკე სპარს.“ ეს სიტყვა თათრულშიაც გვხვდება—ბაირ, ბაჰირ. ველურს (გარეულს) კატას ინგილოები ეძახიან ბაირი-კატას. ჯერ არავინ იცის, ეს სიტყვა თურანულია, თუ ერანული ანუ ქართული. ეს კია, რომ ქართულში მას სისწორის, ტოლობის და დარობის მნიშვნელობაც აქვს: მთა და ბარი, ბარი-ბარი (ინგ. და თათრ. ბარაბარ)=ბარდი-ბარი. თვით დღევანდელი დაბოლოება ებრ, ებრი, ებური წინად იხმარებოდა როგორც ცალკე სიტყვა საჩვენებლად მსგავსობა—ტოლობა—დარობისა. მისგანვე დავბუშთა უებარი, უებრო, უბარი

„**ბეგარა** სომხ.“ ცოტა ქვემოთ კი: „**ბეგი** თათრ.“ ყველამ იცის, რომ პირველი მეორისაგან წარმოებულა. და ეს ორივე სიტყვა გავრცელებულია მთელს სათათრო აზიაში.

ბედაური სპარსული კი არა, ქართული წარმოება თათრულის **ბედ**, მეთხალი (ცხენი, ჯორი და მათთანა).

ბურჯი სპარს. იგი მიითვისეს ქართველებმა ბერძნებისაგან. ათონის მამები მას ჯერ ისევ ბერძნულ პირგოსად სწერდნენ (იხ. ათონ. კრებ.)

„**დარი** სპარს.“ მგონია, იგი მომდინარეობს იმ ძირიდამ, რომლისაც ეკუთვნიან დრო (ფრანგ. durée—დრო) დროება, დროვება—დაცდა (ფრანგ. durer), ტარისი, უტაროსობა, უდროობა, უდროობა.

„**ვარდი** არაბ“. კავკასიელთა ყველა ენაზე ვარდი ვარდად ითქმის და არაბები ჯერ არ იყვნენ „მოგონილნი“, რომ ეს სიტყვა იცოდნენ ქართველებმა. ვარდის ბუჩქი წმ. ნინოს დროსვე ჰყვაოდა საქართველოში და თვით მის შლილობის თვეს მაშინ ერქვა ვარდობისა. ჯერ მაჰმადი არ იყო დაბადებული, რომ პროკოპიოსი (+565 წ.) ქართველების **ვარდციხეს** სთარგმნიდა როდოპოლისად. ეს იქ ძირიდამ უნდა იყოს, რომლიდამ წარმოებულან ბერძნული „როდონ“, ლათინური „როზა“ „როდოდაფნის“.

„**ვაჭარი** სომხ.“ სვანური ღვაჭარი (ვაჭარი) გვაფიქრებს, რომ ეს უნდა ნიშნავდეს ღვაჭას, ღვეჭას, ღვაწებას, მოღვაწებას.

ზეგ ისევე ქართულია, ვით ზე, ზევით, მაზეგ და სხვ.

„**ზონარი** არაბ.“ იგი ქართ. წარმოებაა ბერძნენთა **ზონი**—ქამარი, სარტყელი. მათგანვე ქართველებს მიუთვისებიათ კიდეც ზოსტერი (zoster—ქამარი, სარტყელი).

„**ზუზუნი** სპარს.“ ალბად, ქართველებს ქართა, ისართა ზუზუნი არ განეცადათ, ვიდრე მის სახელს სპარსეთიდან არ მოიტანდნენ! აგეთი ხმის-მბაძველობითი სიტყვები თითქმის ყველგან საერთოა: კუკუ, გრიალი, ბზუილი და სხ. მაღრიბიდამ მაშრიყამდის გაისმის.

„**კალამი** არაბ.:“ კალამი არის იგივე ბერძნული კალამი. (Kalami—ლერწამი, კალამი). არაბების მოსვლამდე ბერძენ-ქართველნი უკალმოდ არ მსხდარან. წმ. ნინოს ცხოვრებას სალომე და პეროჟავრა კალმით სწერდნენ და არა ჩხირით. თვით არაბული ყალამ უნდა იყოს ბერძნულის ნაბიჭვარი!

„**კანაფი** არაბ.“ თუ ქართ. კანაფი არაბულია, მაშ არაბულივე იქნება ლათინ. კანნაბის, ბერძნ. კანნაბის, რუს. конопля. ძველი ბერძნები გაკვირვებულები იყვნენ კოლხიდის სელით, ვარდის წყლის მჩქეფ შადრევნებით და ჩუბინაშვილს კი სურს დაგვაჯეროს, ვარდი და კანაფი ქართველებმა არაბებისაგან ისწავლესო!

„**კაპი** სომხ.“ კავი, კაპის-მოდება წარმოებულან ზმნიდამ **კავება**, და ეს ყველანი ეთვისებიან იმავე მნიშვნელობის ლათინურს **კაპიო, კაპერე**, დაჭერა, დაკავება.

„**კაცი** სპარს. ქეს.“ თვითონ **ქეს** სპარსული კი არა, თათრული **ქეხა**-ა და ნიშნავს არა კაცს, არამედ ვინმეს. „კაცი“ შეიძლება შევადაროთ თათრულს **ქიში** კაცი, ქმარი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს სიტყვაში ფესვი მხოლოდ კ-ა: კაცი—მეგრ. კოჩი, მიც. ბრ. კის, სახელ. მრ. კათა (კაცთა).

კუტალა, ხის დოქი, ბროსეთი vase de bois, „თიმსარიანში“ ბროსის კუტალა, გვ. 56, 108, აგრეთვე მე-10 საუკ. კრებ. № 95). ეს ბერძნულიაო, ღაღადებს ჩუბინაშვილი, „არა სომხური გდალიაო (კოვზი) ფიქულობს ბ-ნი მარრი. არა თუ კოვზში, ჩამჩაშიაც განა დაეტევა ეს წამებული კუტალაო?!

„**ლურჯი** სომხ.“ იქ **კაპოიტ**-ია ლურჯი, ხოლო ლურჯ იმათებურად ნიშნავს მხოლოდ სალხინოს, ბეჯითს, ქლვიძარეს, მხიარულს. ასე რომ ვიაროთ, ლორდქიფანიძეს ლორდიდან გამოვიყვანთ, ხოლო დარს (ამინდს) რუსულ даръ-იდამ (ძღვენი)! ვიცით კი ისტორია სიტყვის ლურჯი, რომ უკვე ვადარებთ? სვანურში მის ტოლია **ლჷრჯი** და სვანურივე გერუნდივის ჩვეულებრივ მანიშნებელით გამოდის ლაჷრჯი, რომელიც უახლოვდება ლაღლას, ლურჯს.

„**ლუკმა** არაბ.“ ქართ. ლუკმა (ინგ. ლოკმაჲ), თათრ. ლოხმა, ნატეხი, ლუკმა. არაბების მოსვლამდე ეს ამდენი ხალხი, ალბად, ულუკმოდ ისხდნენ!

მარცხენა არ იქნება უცხოური, რადგან წარმოებულა **მა-ს** შემწეობით: მა-რცხენა.

შეად.: მარცხენა—მეგრ. კვარჩხანი—სვან. ლა-რთან; მარჯვენა—მეგრ. მა-რძგვანი—სვან. ლა-რსგვან. ძირებია რცხ, რჯ და უცხოურდამ როგორ მოვიდოდა მთელი „მარცხენა“!

პერპერა-ს გვერდით ჩუბინაშვილს მოუსომს „სპარს.“ მაგრამ „სპარ“-ს აქ ადგილი არა აქვს, რადგან ეს პერპერა ბერძნული სიტყვაა Langlois Essai, 2,48). ყაზვინი (XIII ს.): „ამ ქალაქში (ტფილისში) არის ოქროს ფული დინარი, რომელსაც ჰქვიან პერპერა. ეს კარგი ფულია, იწონის მისხალს, ოქრო უღირესს ღირსებისაა. იჭრება აფხაზთა ქვეყნის მეფეთაგან“.

როსკიპის სპარსულობა ზღაპრობანაა, რადგან, როგორც ეხლახან გამოირკვა (ნაშრომი, 3, გვ. 67), მისი თავდაპირვანდელი სახეობა არის **როსპიკი**. ალბად, მოდის სიტყვიდამ გარუსპება, შერცხვენა, გაჩანაგება.

საპონის გვერდით მოსმულია „ოსმალ.“ რა დიდი ტყუილია! განა ოსმალების გამოჩენამდე (XIII-სა) ხალხოსნობა საპონს არ ისმიდა ან არ ირეცხებოდა? მაშ რა არის ეს კავკასიანთა ენების საპუნ, საბუნ, ბერძნული სა-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ №-ები 631, 636, 641.

**) არა=ვარა.

„ქ. მე იყალთოელმა ზამთარეულმა ვეფხიამ და ჩემმა შვილმა ხიზანამ, ივანემ და გიორგიმ შევწირეთ ესე ხატი კარსა ღვთაების ეკლესიისა ჩვენად მოსახსენებლად ქრ-ს **უობ.**

აქვე არის ორი ვერცხლის სანაწილე მოოქროული ასეთივე გრძელის ძეწკვით წმ. ნაწილებით. პირველი სანაწილე რომ გავხსენით შიგ იყო შემდეგი წარწერა:

„ძელი ცხოველი, წმ. იოანე მოწყალე, წმ. დიმიტრი მოწამე, პეტრესა და პავლესი სისხლი, წმ. ხარლამპი მოწამე. მეორე სანაწილეში შემდეგი ნაწილებია:

„წმ. ნაწილი ნათლის მცემლისა, წმ. პანტელეიმონისა, წმ. თომა იერუსალიმელი, წმ. ნიკოლოზი მირელუკიელი, წმ. გიორგი, წმ. ხალლამპი, წმ, ევსტათი, დიმიტრი—წმ. მანგლელი“. ამავე ეკლესიაში არის ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი მოოქროული მხედრულის ზედ წარწერით ბარძიმზე:

„შემწირველი წმ. ამის ბარძიმისა და განმაახლებელი სრულიად ამალების ეკლესიისა ყოველთავე შენებითა შიგნით და გარეთ და ეკლესიის სამკაულითა ყოველთავე მიძღვნილისა ჩემისა და მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა და ძმათა ყოვლად სამღვდელო ბოდბელი მიტროპოლიტი მაყაშვილი იოანე, ომან მაყაევის ძე“.

ფეშხუმზე წარწერა: „შემოვსწირე მშობელთა ჩემთა მონასტერსა და ათორმეტსა ასურულთ მამათაგანსა ზენონ და არსენი იყალთოელსა მაყაშვილსა, გაბრიელ ბერმა მაყაშვილმა მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა და ძმათა: ფეშხუნი, ვარსკვლავი, კოვზი, ლახვარი, ტაკუკი, განსაზავებელი.

(დასასრული იქნება)

ზ. ჩიქვაძე

ქიზიყის ჭირ-ვარამი.

დადგა დრო მშრომელი გლეხ-კაცის მინდვრად გასვლა—ხვნა-თესვისა: და კვლავ გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო ის, ქიზიყელთათვის სავალალო, გარემოება, რომ ჩვენში ჯერაც მიწის საკითხი უმწვერვალესობამდე გამწვავებულია მიწის მფლობელობა მოუწყს-რიგებელი. სხვა მრავალთა შორის, ამისი უმთავრესი მიზეზი კერძო მესაკუთრეთა, თავისუფალ წოდების მიერ დაყორნილ მამულების თაობაზე უმაღლეს სასამართლოში დავის გაუთავებლობაა. სანამ ეს დავა კერძო მესაკუთრეთა და ხაზინის შორის არ დამთავრდება საბოლოოდ იმ დრომდის მთავრობა, არა თუ თვითეულ მეკომურს არ აძლევს და არ უზომავს მის სამყოფ, კანონით ნაკუთვნ მამულის რაოდენობას, არამედ ორ მეზობლად მდებარე სოფლის მცხოვრებთაც კი, რომელთაც დღევანდლამდე ვერ მოუხერხებიათ გაყოფა-გაყრა და საერთო სამფლობელო და აქვსთ სახნავ-სათესი მამულები, სულ იმას უმეორებენ საცა აქამდის გითმენიათ, ცოტა კიდევ მოითმინეთ,— არა და შინაურულად—ძმურად მორიგდით დროებით ერთმანეთშიო. ესე დროებით მორიგებაც მეტად სამძიმო, თავსატეხი საქმეა, ვერას გზით ვერ მორიგებულან შინაურულად, ამიტომ ხვნა-თესვის დროს ყოველთვის ქიზიყში საშინელი უბედურება, ჩხუბი-დავი-დარაბა, თავპირის მტვრევაა და არა იშვიათად სისხლიც ჩამოვარდება ხოლმე...

ეს საზოგადო მოვლენაა მთელს ქიზიყში, მაგრამ განსაკუთრებით გამწვავებული ურთიერთობა მიწის თაობაზე ორ მეზობლად მდებარე სოფლის საზოგადოებათა შორის არსებობს ე. ი. ქვემო-მაჩხაანისა და ზემო-მაჩხაანისა, რომელთა სახნავ-სათესი მამულები სამწუხაროდ ჯერაც გაუყოფელია.

მართალია ზემო-მაჩხაანი ქვემო-მაჩხაანზე დიდი სოფელია, კომლთა რაოდენობით სჯარბობს, სამაგიეროდ მამულებიც მეტი უჭირავთ შირაქში, იორზე, უკანა მხარში და ზედ მეტად წინამხარში საუკეთესო სავენახე ადგილები ქუმბათზე. ქვემო-მაჩხაანელებს კი სახნავ-სათესი საძოვარი მარტო ყარალაჩის მინდორი ჰქონდათ აქნობამდის, როგორც ესენი ამბობენ, ზემო-მაჩხაანელების ხვედრს სახელმწიფო გადასახადსაც კი იხდიან. ამისდა მიუხედავად ერთი წელიწადი, თუ ცოტა მეტი იქნება, ზემო-მაჩხაანელებმა მოიწადინეს ყარალაჩის მამულის ნაწილის სანახავად ხელში ჩაგდება, გაზაფხულზე კიდეც ძალით მოხნეს, მაგრამ ძველმა მომრიგებელმა—შუამავალმა ა. ჯორჯაძემ აუკრძალა შარშან ქვემო-მაჩხაანელთა მფლობელობაში მყოფ მამულის მოხვნა... რათა წელსაც შარშანდელი ისტორია ან განმეორებულიყო, ქვემო-მაჩხაანელთ დეპეშით მიჰმართეს სადაც ჯერ არს, რათა ეს საქმე მოაწყეს-რიგონ.

რადგანაც, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, მთავრობა სულ იმას ჩასჩიჩინებს ქიზიყელთ, სანამ კერძო მესაკუთრეთა მამულების საქმე არ გათავდება სასამართლოებში, თქვენ მიწებს ვერ დაგიყოფთო, ამიტომ დროებით ქვემო-მაჩხაანელების და ზემო-მაჩხაანელების მორიგება მიენდო სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს ამილახვარს და მიწათმომწყობ კომისიის წევრთ მიწის მზომელთ, რომელნიც ამ საკითხის გასარჩევად 14-ს სექტემბერს მობრძანდნენ სოფ. ზემო-მაჩხაანში, სადაც მათ დილიდანვე მოუთმენლად ელოდნენ ორივე სოფლის მცხოვრებნი.

უპირველეს ყოვლისა ორივე სოფლის მცხოვრებთ ამოირჩიეს თვის შორის ორ-ორი პირი, რომელთაც იქ დამსწრეთ აუხსნეს იმ დღის შეკრების მიზეზიც და სადავო საქმის გარემოებაც. ქვემო-მაჩხაანელთ ის აზრი გამოსთქვეს, რომ მართალია ჩვენ ჯერ მამულები გაუყოფელი გვაქვს, მაგრამ ათადან-პაპადან ჩვენა ვსარგებლობდით ყარალაჩის სახნავ-სათიბი მიწებით, ჩვენი კალოებიც აქ არისო,—თქვენ იქ ნუღარ გვეცილებით, თქვენ ისედაც საკმაოდ მოჰარბებული გიჭირავთ შირაქში, იორზე, ქუმბათზე და სხვაგანაო; რატო ჩვენ არ მოვდივართ და კალოებზე არ გივარდებითო...

ზემო-მაჩხაანელებმა სთქვეს, ჯერ ჩვენ გაუყოფელი ძმები ვართ, მამულებიც საერთოაო. ჩვენ გვინდა ყარალაჩის მინდვრით ვისარგებლოთ, თქვენც მობრძანდით და ჩვენს მინდორში ისარგებლეთ სახნავ-სათიბი მიწებითაო. რაც მინდვრები გვაქვს ყარაჩისა, შირაქისა, ივრისა, თუ ქუმბათისა, ყველა ეს მიწები მამრობითის სქესის რაოდენობის კვალობაზე უნდა გავყოთ და ყველგან წილი ჩავიდვათო... უკიდურეს შემთხვევაში დიდი სიკეთე იქნება ჩვენის მხრივ, თუ დავჯერდით და ყარალაჩის მინდორში ჩვენის მინდვრიდან გარდიგარდმო ჩაყოლება ერთი ვერსის სიგანეზე მამულს ავიღებთ ალაზნამდეო. ამის სამაგიეროდ იორზე მიიღეთ ამ ყენივე ადგილიო. ქვემო-მაჩხაანელთ უპასუხეს: რაც კი რამ ფარსაგი სახნავი მიწებია სულ ეგ ერთი ვერსის გაყოლება დაიტანს, მაშ ჩვენ იმ მინდორში რაღა გვინდა, ბარემ ავიყარნეთ და გადავსახლდეთ სადმეო. ესე კი არა, ყარალაჩის მინდორი, როგორც ჩვენი გასადევარი, ჩვენ მოგვეზომოს მამრობითი სქესის რაოდენობის კვალობაზე და რაც მეტი მოვიდეს თქვენი იყოსო. დანარჩენი მამულებიც ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროთო... მაგრამ ზემო-მაჩხაანელნი წინადადებას არ დაჰყაბულდნენ, მათი საერთო სურვილი იყო მამულები ყველგან გაყოფილიყო ნაჭერ ნაჭერ (черезполосно) და ყველგან წილი ჰქონოდათ. საღამომდის იდავეს და ვერავითარ სამშვიდობო მორიგება—დასკვნამდის ვერ მივიდნენ, რის შესახებაც ოქმი დაადგინა მომრიგებელმა შუამავალმა.

X.

მოწერილი ამბები

ს. ხაშმი (გარეთ კახეთი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ გარეთ კახეთმა სწავლა-განათლების საქმეში, ამ ბოლო ხანს, შესამჩნევად წინ წაიწია. აქეთ იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, რომ სკოლა, ან სამკითხველო მაინც არა ჰქონდეს. თუ რამოდენად თანაგრძნობით ეკიდება გარეთ კახელი სწავლა-განათლებას, აშკარად მოწმობს სოფ. ხაშმის მაგალითიც. ამ ერთის წლის განმავლობაში ხაშმის საზოგადოებამ ორკლასიან სკოლისთვის ააგო უზარმაზარი კოხტა შენობა, რომილიც მთელი ივრის ხეობისათვის მართლაც რომ თავმოსაწონი რამ არის. სიგრძე შენობას 70 და სიგანე 23 არშინი აქვს. მთელი შენობა დაყოფილია რვა მოზრდილ ოთახად. აქედან ოთხი (უფრო ფართო) ოთახი სიგრძით 12 და სიგანით 9 არშინი საკლასო ოთახებს წარმოადგენს. დანარჩენი ოთხი ოთახიც მასწავლებელთათვის არის დანიშნული. სიმაღლე ყველა ოთახებს ექვსი არშინი აქვს. შიგნით შენობა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს, როგორც იატაკი და ჭერი ისე კედლებიც შეღებილია ზეთ-ნარევ ფერადებით. განსაკუთრებით საკლასო ოთახები, საუცხოვოდ არის მოწყობილი: ავეჯი მთლად ახალია—კედლებს ამშვენებს საუცხოოდ დახატული სურათები.

ხსენებული შენობა ოდესმე სახელმწიფო პურის მაღაზიად იყო. მაღაზიის გაუქმების შემდეგ, მთელი შენობა—თავის ფართო ეზოთი საზოგადოებამ შეისყიდა. მაგრამ უყურადღებობის გამო მალეც დაინგრა. კმაროდა კიდევ ორი წელიწადი უპატრონობა რომ ეს ძვირფასი შენობა მთლად მოსპობილიყო. საბედნიეროდ მალე გულშემატკივარიც აღმოუჩნდა. ეს გახლავთ ამავე სკოლის გამგე ბ-ნი მოზდოკელი. ამ ენერგიით სავსე ადამიანის მეცადინეობით მთავრობამ შენობის შესაკეთებლად 5000 მანეთით დახმარება აღმოუჩინა სოფელს; ხაშმის საზოგადოებამაც თავის მხრივ 3000 მ. (ნაღდ ფულად, ზედ წახმარება სხვა იყო) იკისრა—ამნაირად შენობის შეკეთება 8000 მ-დე დაჯდა. სკოლა დღემდის ერთკლასიანი იყო დღეს კი იგი ბ-ნ მოზდოკელის მეცადინეობით ორკლასიანად გადაკეთდა. რადგან შენობის შეკეთება ცოტა შეგვიანდა ამისათვის მეცადინეობის დაწყობაც 10 სექტემბრისთვის გადაიდო.

8 სექტემბერს დანიშნული იყო სკოლის კურთხევა. ამ დღეს დილიდანვე მთელმა სოფელმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო. დიდი და პატარა ყველა სკოლაზე ლაპარაკობდა. წირვის გათავების შემდეგ სამღვდელოება და აუარებელი ხალხი ლიტანიით გაემართა ახალს სკოლისაკენ. სკოლის ეზოში გადახდილ იქმნა პარაკლისი. წირვა-პარაკლისის დროს მწყობრად გალობდა მოსწავლეთა გუნდი. პარაკლისის შემდეგ მღ. ვანო ხაბაზიშვილმა შესაფერი სიტყვა სთქვა სწავლის საჭიროებაზე ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა თავის მოძღვარს.

გარეშე პირთაგან სკოლის კურთხევას დაესწრნენ ბოქაული თ-დი ჩოლაყაშვილი, ტფილისის მაზრის გამომძიებელი, ყარაბულახის მემამულე თადო ჩოლოყაშვილი, პატარძეულისა და უჯარმის მასწავლებელნი და მრავალი სხვა. კურთხევის შემდეგ—საზოგადოება მიიპატიჟეს ნადიმზე, რომელიც სკოლის დარბაზში გამართავს.

ამ ჟამად შკოლას ხუთი მასწავლებელი ჰყავს:—სამღრთო რჯულისა მღ. ხაბაზიშვილი, გამგე ბ-ნი მოზდოკელი, ქ-ნი ნინა ბაქრაძე, ოლღა თომაშვილი-კლიაშინსკისა და გალობისა—ელისე მაჭავარიანი.

მოსწავლეთა რიცხვმა წლეულ გაცილებით იმატა—შარშან სკოლაში ითვლებოდა 130 ბავშვი წლეულს კი 200 ძეტია.

ბ-ნ მოზდოკელს განზრახვა აქვს სკოლასთან სახელოსნო განყოფილებაც გახსნას. იმედია დანარჩენი მისი ამხანაგნიც ხალხის საკეთილ დღეოდ, არ დაჰზოგავენ თავიანთ ცოდნა-ენერგიას.

სამინისტრო სკოლას გარდა ხაშმზედ არსებობს სამრევლო სკოლაც სადაც სხვათა შორის ბავშვებს ხელსაქმესაც ასწავლიან. აქაც გვარიანად არის საქმე დაყენებული. სასურველია რომ აქ დღეს სკოლის მოღვაწენი მუდამ შეთანხმებულად მუშაობდნენ, როგორც ეხლა, მათს შრომას უფრო მეტი ნაყოფი ექმნება.

არ შეიძლება ყველა ამასთან ერთი სამწუხარო ფაქტიც არ აღვნიშნო. ამ ახალ სკოლის გვერდზე გახლავთ კარგად მოწყობილი ძველი შენობა, სადაც წინად სამინისტრო სკოლა იყო მოთავსებული. ეს შენობა დღეს მთლად უპატრონოდ არის მიტოვებული იგი ნახევრად დანგრეულია და უწმინდურების ბუდეს წარმოადგენს. ფანჯრები და კარებები აღარ მოეპოვება—სახურავიც მთლად აცლილი აქვს. დღეს ეს დაზიანებული შენობა ხალხს და მოსწავლე ბავშვებს გასავლელ გზათა აქვთ დადებული. ჩემის აზრით ამ შენობაში გავლა გამოვლა მეტად საშიშია—ადვილი შესაძლებელია რომ რაიმე უბედურება დატრიალდეს. ამისათვის ურიგო არ იქმნება, ჯერ-ჯერობით ვიდრე ამ შენობასაც სათანადოდ უპატრონებდნენ, კარებები და ფანჯრები ამოეჭედოს, ამ საქმეში პირველი ვალი ადგილობრივ მამასახლისსა სძევს. იმედია რომ როგორც ახალ შენობის გაკეთებას შეუწყო ხელი ისე ამ უკანასკნელსაც უპატრონებს.

გიორგი ნახუცრიშვილი.

ს. კარდანახი, (ქიზიყი) ს. კარდანახში არსებობს ორი სკოლა ერთი სამრევლო ქალთათვის და მეორე ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა-ვაჟთათვის.

რასაკვირველია ვერ დააკმაყოფილებს ეს ორი სკოლა კარდანახს, სადაც ათას კომლზე მეტი მცხოვრებია. სწავლის მოთხოვნილება დიდია, მაგრამ საუბედუროდ ადგილი ცოტაა.

სამინისტრო სკოლა სამ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი მოთავსებულია საკუთარ შენობაში, მეორე-კანცელარიაში და მესამეც დაქირავებულია. ეს მესამე წელიწადია რაც ორმოცზე მეტი ბავშვი ყოველ წლივ სკოლის გარედ რჩება. ზოგს ორი შვილი ჰყავს, მაგრამ ერთის მეტს არ იღებენ და რჩება მეორე წლამდე. უბედურება ის არის მეორე წელსაც არ არის ხოლმე ადგილი.

დიდი ხანია ნება დართულია ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა გადააკეთონ ორ კლასიანად. მთავრობამ საამისოდ გადასდო ორას ორმოცდაათი თუმანი. ამდენივე უნდა გამოიღოს სოფელმა. ძლივს ედირსათ და წელს გააწერეს ფული. საქვეა რომ სამერმისოდ მაინც მზად იყოს შენობა.

აქაურ მასწავლებელთა ვალია ჩააგონონ გლეხებს მეოთხე მასწავლებლის საჭიროება, ვიდრე ორ კლასიან სკოლის აგებამდე. შეუძლიანთ მიმართონ სამეურნეო კომიტეტს, რომელიც კარგა ხანია არსებობს და გავლენაც აქვს სოფელში—მათი დახმარებით განახორციელებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს. ჯერ კიდევ გვიან არ არის.

კარდანახელი.

ს. ქ. ალვანი (თიანეთის მაზრა) დადგა შემოდგომა და თუშებმა დაიწყეს ჩამოსვლა ბარად. აუარებელი ყველი და მატყლი ჩამოაქვთ მთიდან, გაჩნდნენ სოფლის წურბელები და დაიწყეს თავის ნებაზე თარეში. იღებენ იაფ ფასად ყველსა და მატყლსა, თან გულსაც არ უტეხენ ხალხს, ეუბნებიან, როგორც მაზანდა გადაწყდება იმ მაზანდაზედ გაგისწორდებითო. საკვირველია, რად უყურებს ხალხი ამ საქმეს ასე გულ გრილად და არ ფიქრობს ვინ უნდა გადასწყვიტოს მაზანდა?! ხომ ისევ იმავ ვაჭრებმა როგორც თავად ჰსურთ.

3 სექტემბერს ზემო ალვანში მოხდა სასოფლო ყრილობა მატყლის შესახებ რომ ფუთი რვა მანეთ ნაკლებ არ მიეცათ, მაგრამ გვიანღა იყო, რადგან ნახევარ ხალხს მატყლი მიწონილი ჰქონდა, და ხალხის უპირობის გამო შვიდ მანეთად გადააკვეთეს მაზანდა.

რვა სექტებერს მოხდა საშინელი უბედურება, ს. ქ. ალვანში მცხოვრებელნი ისაკო განაშვილი და იობი გაფრინდაული, რომელნიც თერმეტი აკიდებული ცხენით მიდიოდნენ ბარიდან მთაში და მიჰქონდებიათ ცოლ შვილისათვის სანოვაგე, ფშავლიდან (თელავის მაზრა) ხუთ ვერსის მანძილზე ორ საათზე დასცემიან ყაჩაღები და ორივენი დაუხოციათ, მკვდრები დაუძარცვავთ, წაუღიათ ქამარ ხანჯალი და რაც ხელთ მოხვედრიათ, მხოლოდ ცხენები არ გაურეკნიათ. როგორც ამბობენ ყაჩაღები ლეკები და ქისტები ყოფილან.

მოხევეებში ნამყოფი.

მესამე სათათბიროს სტატისტიკა.

მესამე სათათბიროს მოქმედების განხილვა ბევრ საგულისხმო ცნობებს გვაძლევს. სათათბიროს უმუშავნია ორი ათას ცხრაას ოთხმოცი საათი და თევქმეტი წუთი. ხუთის წლის განმავლობაში სათათბიროს შენახვა ხაზინას დასჯდომია 13,513,700 მანეთად. ასე რომ ყოველი საათი საკანონმდებლო მუშაობისა ღირდა 3,455 მან. დეპუტატთა შემადგენლობა იცვლებოდა. მათი საერთო რიცხვი უდრიდა 487 კაცს. **სარწმუნოების მხრივ** დეპუტატები ასე დანაწილდებიან: მართლ-მადიდებელი—414, კათოლიკე—27, ლიუტერანი 20, მაჰმადიანი—10, სტაროობრიადელი—6, იუდიელი—3, სომეხ-გრიგორიანი—2, სომეხი-კათოლიკე—2, ერთმორწმუნე—1, მენონიტი—1.

ეროვნების მხრივ:

ველიკოროსი—337, მალოროსი—28, პოლონელი—22, გერმანელი—13, ბელორუსი 12, ლიტველი—5, სომეხი—4, ბაშკირი—4, ებრაელი—4, თათარი—4, ქართველი—2, აფხაზი 1, ლეკი—1, მოლდავანელი—2, ბერძენი—2, ლატიში—2, ესტონი—2, ზირიანი—1, ტიურკი—1.

წოდების მხრივ:

შთამამავლობითი აზნაური—220, გლეხი—94, სასულიერო წოდებისა—46, ვაჭარი—42, ყაზახი—15, მდაბიო მოქალაქე—12, პირადი აზნაური—9. 46 დეპუტატის წოდება გამორკვეული არაა.

სწავლა მიუღია:

უმაღლესი 230 დეპუტატს, საშუალო—134, დაბალი—85, შინაური—35.

მიწისმფლობელები—242, საერობო მოღვაწენი—133, მიწისმოქმედი—79, ღვთისმსახური—46, ვექილი 37, მოვაჭრე—36, სახელმწიფო სამსახურში მყოფი—25, კერძო მოსამსახურენი—22, ექიმი—22, პედაგოგი—20, ხელოსანი და მუშა ხალხი—16; ლიტერატორი და პუბლიცისტი 12, პროფესორი 10 და ინჟენერი—2.

334 დეპუტატის წლოვანობაა

მხოლოდ გამორკვეული. ოც-დაათიდან ორმოც წლამდე 81 დეპუტატია, ორმოციდან — ორმოც-და ცხრამდე—166, ორმოც-და-ათიდან ორმოც-და ცხრამდე 129, სამოციდან სამოცდა ცხრამდე 42, თექვსმეტი დეპუტატი სამოცდა ათი წლისა და უფრო მეტის არიან.

პარტიულად:

მემარჯვნე—52, ნაციონალისტები—77, დამოუკიდებელი ნაციონალისტები—16, ოქტომბრისტები—121, მემარჯვნე ოქტომბრისტები—11, პოლონელების კოლო—18, პროგრესისტები—37, მუსუმანელი—9, კადეტები—53, შრომის ჯგუფისა—11, სოციალ-დემოკრატები—13 და უპარტიო—23.

ერთ დეპუტატს—374 ჯერ წარმოუთქვამს სიტყვა, ერთს—324 ჯერ, ორას ორმოცდა თერთმეტიდან სამასამდე სიტყვა უთქვამს ორ დეპუტატს, 201—250 სამს, 151 200 შვიდს, 101—150 ჯერ თერთმეტს, 50—100 ორმოცდა რვას, 26—45 ორმოცდა თოთხმეტს, 11—25 სამოცდა თვრამეტს, 4—10 ოთხმოცდა თორმეტს. სამჯერ სთქვა სიტყვა 22, ორჯერ—32, ერთხელ—43. არ უთქვამთ არც ერთხელ სიტყვა—93.

სხდომიდან განიდევნა 33 დეპუტატი 38 ჯერ. უპეტეს ნაწილად მემარჯვენენი და ესდეკები.

მთავრობის მიერ **შეტანილ იქმნა 2,552 კანონპროექტი.** ამათში 106 კანონპროექტი მინისტრებმა უკან წაიღეს, 2,346 სათათბირომ მიიღო, 79 უარჰყო, სახელმწიფო საბჭომ არ დაამტკიცა 31. 94 შემათანხმებელ კომისიაში შევიდა, ორი კანონ-პროექტი სანქციას არ ეღირსა, სახელმწიფო საბჭომ დააბრუნა 26. 215 ჯერ არ განხილულა.

სათათბიროს **დეპუტატების მიერ შეტანილი იყო** 905 კანონპროექტი. ამათში სასურველად იქმნა მიჩნეული 81, არა სასურველად—6, კანონად გამოიცა 2.

დეპუტატებმა 157 შეკითხვა შეიტანეს: სოციალ-დემოკრატებმა—46, კადეტებმა—38, ოქტობრისტებმა—22, მემარჯვენეთ—15, შრომის ჯგუფმა—12, ნაციონალისტებმა—8. პროგრესისტებმა—5, უპარტიო დეპუტ.—4, მუსულმანებმა და პოლონელებმა—სამ-სამი.

71 შეკითხვა იყო მიმართული შინაურ საქმეთა მინისტრთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან—51, იუსტიციის მინისტრთან—19, სამხედრო მინისტრთან—12, სახალხო განათლების მინისტრთან—11. განმარტება ეღირსა მხოლოდ 54 შეკითხვას. 15 განმარტებამ არ დააკმაყოფილა. სათათბირო, 7 კი დააკმაყოფილა 157 შეკითხვაში სათათბირომ მოისმინა მხოლოდ 80, დანარჩენი მიივიწყეს. 80 შეკითხვაში სათათბირომ უკუაგდო 13 შეკითხვა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

18 ენკენისთვე.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. დიპლომატიური წრეები დაინტერესებულნი არიან ბალკანეთის ამბებით. თუმცა ბალკანეთის მდგომარეობა გართულებულია, მაინც საქმის მოგვარების იმედია. ტელეგრამები იუწყებიან, საბერძნეთის და ოსმალეთის უთანხმოება დასცხრაო.

საზონოვს მოლაპარაკება ჰქონდა ოსმალეთის და სერბიის ელჩებთან. ოთხშაბათს მიემგზავრება პარიზში. ქარიშხალმა დიდი ზიანი მიაყენა ტაინას. დიდი წვიმების გამო ხომალდების სამუშაოზე მუშაობა შეწყვეტილია.

სერბია.

ბელგრადი. მობილიზაციის გამოცხადების წინ, „სამოუპრავამ“ გამოსთქვა უკმაყოფილება ოსმალეთის საქციელის გამო. ოსმალეთმა აღკრძალა სამხარ მასალის გატარება. „სამოუპრავა“ ამბობს: სერბია მიჰმართავს ზომებს თავისი ინტერესების და სერბიის ტერიტორიის დასაცავადაო. სერბიის მთავრობა სამწუხარო შედეგის პასუხისმგებელი არ არისო.

ბელგრადი. პაშიჩის აზრით სერბიელთა მშვიდობიანი ცხოვრების დასამყარებლად ოსმალეთში, საჭირო ოლქებისთვის ავტონომიის მინიჭება. უნდა იყოს დაცული ოსმა-

---

პონ (sapon), ლათინ. საპო, საპონის, ფრანგ. სავონ, ინგლ. სოაპ? ამათ ყველამ მიითვისეს ოსმალებისაგან, თუ მარტო ქართველებმა? ეგების მსოფლიო ხმარებაში შემოსული ლათინ. „საპონიფიკაცია“-ც (საპონად ქცევა) ოსმალური იყოს!

„**სირა** არაბ.“ ბერძნულს დიდს ლექსიკონში იხ. სირა.

„**სტომაქი** ლათინ“. ლათინური stomachus-ია თუ ბერძნული სტომახოს?

„**ტაიჭი** არაბ.“ ბ-ნი მარრი კი სწერს სომხურიაო. რომელს დაუჯეროთ? ჩვენით არც ერთს, არც მეორეს. წარმომდგარა თათრულ სიტყვიდამ ტაი=ტაიჩა ულაყი კვიცი. სომხური ტაჭიკ—ქართულის დამახინჯება უნდა იყოს.

„**ტახტი** სპარს“. ხოლო სპარსულშია თახთ და ეს კი არის იგივე თათრ. თახტა, ფიცარი, თახტრევან, ტახტრევანი.

„**უკან** სომხ.“ სომხურში ასეთი სიტყვა, ისიც ამ მნიშვნელობით, არ არის. ხოლო თვით უკან აშენებულია ფესვზე კ: უკან, უკუ, უკ, მეგრ. უკახალე. უ აქ ისეთივე მოსაქმეა, ვით სიტყვაში უწინ, უკუნი, უჩა (მეგრ. ჩე თეთრი, უჩა შავი (უჩა= უთეთრო). კ=ყ მიმართულების მაჩვენებელია, ალბად, ზმნიდან ყენება; მივდივარ კახეთის-ყენ=კახეთისკენ=კახეთისკე=კახეთისა-კ (ფშავხევს.; ვისრამ. 137: მარავისა-კე). აქედან უ-ს შემწეობით წარმოებულა უკ, უკან.

„**უღელი** ბერძნ.“ რატომ ბერძნული? იმიტომ, რომ იქ არის zugas წყვილი, zugon უღელი. ძველს ქართულში გვხვდება ჰუღელი (წყვილი, ლუწი) და ცანკვილი (კენტი). შლეიხერი თავის Compendium-ში რუსულს uroსაც იმავე ბერძნულს უტოლებს.

„**ფანარი** სპარს.“ რატომ სპარსული, როდესაც ბერძნულში არის ფანარიონ (ფანარი), წარმომდგარი ბერძნულისავე სიტყვიდამ **ფანი** სინათლე.

„**ფარვანა** სპარს.“ ეს არის იგივე ძველებური ფარფალია—პეპელა.

„**ფარისეველი** ბერძ.“ ენციკლოპედიური ლექსიკონი კი გვაუწყებს: „pharisaei ებრაულად parusсim ებრაულ სიტყვიდამ parascu—განცალკევება“.

„**ფიზიკა** ფრანც.“ სულაც არა. ფიზიკის სახელმძღვანელოების თავშივე სწერია: „ბერძ. ფიზიკე სიტყვიდამ **ფიზიკოს, ფისის** ბუნებრივი, ბუნება, წესი“.

„**ფიროგი** რუს.“ ფიროგს (?!?) ქართულად რა ჰქვიან? „ფიქვი ბერძ.“ იქ, მართალია, სწერია **პიტვის** ფიქვი, **პიტვიონ**—ფიჭვნარი. მაგრამ მაინცა და მაინც ქართული რათ უნდა იყოს უეჭველად ბერძნული?

„**ფონი** სომხ.“ ჩვენ კი გვაქვს ზმნა ფონება, მოფონება და მისგანაა ფონი.

„**ფრაზი** ფრანც.„ ჩვენ კი გვეგონა, ფრანგულიც იგივე ბერძნული ფრასის-იიო.

„**ფული** სპარს.“ ფული=ფოლი= ფლური. დიოკლეტიანე კეისრის (+ 303 წ.) მოჭრილ ფულს ერქვა follis და folerales. მის შემდეგ ჩვენში შემოვიდა ფული=ფოლი, ფლური.

„**ქვიშა** სომხ.“ ბუნების მეტყველების სახელმძღვანელო გვაუწყებს, ქვიშა არის ქვის ნამუსრევი. და თვით ქართული სიტყვაც ქვიშა ამასვე ამტკიცებს: ქვა, ქვიშა=უწინდ. ქვისა (სვან. ქუთეში—ქუთაისი).

„**შანდალი** სპარს.“ ენციკლოპედიურს ლექსიკონში: „შანდალ, ფრანგ. შანდელიერ, იტალ. კანდელაბრო, ლათინ. სიტყვიდამ კანდელა, სანთელი, შანდალი.“

„**ცუდი** სომხ.“ ამგვარი სიტყვა სომხურში არ არის. თუ შედარებაა, ცუდი ისევ უახლოვდება რუსულს „ხუდოჲ“. აგრეთვე ხდომა (გახდომა), რუს. Худѣть.

„**ხატი** არაბ.“ არაბების მოსვლამდე კი ქართველები უხატოები არ იყვნენ! სხვა არა იყოს რა, წმ. ნინოს ცხოვრებასა და შუშანიკისა (მე-6 ს.), ე. ი. არაბების გამოჩენამდე, ხატი იხსენიების ჩვენშ. და ითაყვანების: „შენ ჩემი ხატი დაამხვ..., აღემართა ხატი“ „შუშან. (ცხ., 184), „ხატი მისი დაბძარული და განსივებული“ (იქვე, 185). წმ. ნინო არმაზზე ამბობდა: „ხატი შენი არს კაცი, რომლისათვის ერთი სამებისაგანი კაც იქმენ“ (ნინოს ცხ., 22).

„**ხიზანი** სომხ.“ ხიზნვა ანუ ხიზვა ნიშნავს შეკვრას, შეწებებას, შემაგრებას. და „ხიზანიც“ უნდა ნიშნავდეს ნიადაგზე მიმაგრებულს.

„**ჯაზა** სომხ.“ ნამდვილად კი იგი არაბულ-თათრული სიტყვაა: „ბიზა ჩოხ ჯაზა ოლდი“—ბევრი გაჭირება-ტანჯვა იქნა ჩვენთვის.

„**ჯანყი** სპარს.“ ასეთი სიტყვა ჩვენ ვერ ვპოვეთ სპარსულში.

აქ ვსვამთ წერტილს. ვფიქრობთ, ამ გაკვრით დაწერილ შენიშვნითაც გამოაშკარავდა, რომ ცხონებულ ჩუბინაშვილის ლექსიკონში უხამსო შედარებები უამრავია. კიდევ ვიმეორებთ, ჯერ ქართული მეტყველება სათანადოდ არ არის შემუშავებული და ვიდრე ეს მდაბალ ხარისხზე სუფევს, მანამ ქართულ ლექსიკონიდამაც უნდა განიდევნოს ყოველგვარი შედარება. ჩვენს ხალხს უწინარეს ყოვლისა ესაჭიროება ქართული ლექსიკონი და არა ისტორია სიტყვების გვარტომობისა.

მ. ჯანაშვილი.

ლეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ დანაწილების პრინციპი. ავტონომიას შეუძლიან მშვიდობიანობა მიანიჭოს ბალკანეთს.

მეფის უქაზით გამოცხადებულია საყოველთაო მობილიზაცია.

ბულგარეთი.

სოფია. ბულგარეთის სახელმწიფომ მობილიზაცია გამოაცხადა, რადგანაც ოსმალეთის ჯარის შეკრებამ ადრიანოპოლისში, ბულგარეთის საზღვრის მახლობლად—ძლიერ შეაშინა.

გაფიცვა რკინის გზაზე.

ბარცელონა. ჩრდილოეთ რკინის გზის სახელოსნოებში მუშები გაიფიცნენ. გაფიცულნი არიან 9,600 კატალონიის რკინის გზის მოსამსახურენი.

კოპენჰაგენი. საბერძნეთის მეფე წავიდა.

სპარსეთი.

უსკიუბი. იშტაბის, მიტროვიცის უსკიუბის დივიზიის რედიფები ჯარში გაიწვიეს.

ურმია. ქურთებმა გაძარცვეს ქარავანი ურმიასა და სალმასს შორის, ქურთების ყაჩაღობის გამო, კავშირი გაწყვეტილია.

ბალკანეთის საქმის გარშემო.

ბერლინი. ბალკანეთის საქმეების გამო მცხოვრებნი აღელვებულნი არიან. მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ლონდონიდან მოსული ცნობა, ვითომ რუსეთის ჯარის მობილიზაცია არის გამოცხადებული პოლონეთის სამეფოში.

საბერძნეთის მეფემ გავლით ინახულა ბერლინი, საიდანაც ვენისკენ გაემგზავრა.

საზონოვს მიელიან ბერლინში ორშაბათს.

მთავრობის პასუხი.

თეირანი. ფიდაების და ბახტიარების ტელეგრამაზე მთავრობამ უპასუხა, რომ არჩევნების თაობაზე პუბლიკაცია ორმოცი დღის შემდეგ მოხდებაო.

ოსმალეთის ამბები.

რომი. პოლიტიკურ წრეებში დადის ხმა, ვითომ რეშიდ-ფაშა მიიღებს მონაწილეობას ზავის მოლაპარაკებაშიო.

დემოტრიკო. რეშიდ-ფაშამ განაცხადა რომ უშში დარჩება ორ დღეს. მას არა აქვს დაკისრებული მონაწილეობის მიღება საზავო მოლაპარაკებაში.

სალონიკი. ახალგაზრდა ოსმალთა საიდუმლო კომიტეტმა გადაწყვიტა ყოველი ღონე იხმაროს და გადაარჩინოს ოსმალეთი დაღუპვისაგან.

ამ მიზნის მისახწევად კომიტეტს საუკეთესო გზად მიაჩნია შეჰკრას კავშირი ავსტრია-ჰუნგრეთთან და სამ სახელმწიფოთა კავშირთან. ამისათვის საჭიროა დაამხონ ეხლანდელი მთავრობა.

მთავრობამ საბოლოოდ აუკრძალა სერბიელებს სამხრო მასალის გადატანა. მაკედონიაში ქრისტიანთა რიცხვი თან და თან იზრდება. ქრისტიანებს ძლიერ ავიწროვებენ.

ჩინეთი.

ხარბინი. ჩინეთის ჯარი განაგრძობს მონღოლების დევნას. მთავარი ხელმძღვანელი მონღოლებისა, შირეტუელამა ჩინელებმა დაიჭირეს და დასაჯეს. მონღოლებს გზა და გზა ჩინელები აწიოკებენ.

ურგა. უმუშევართა ჩინელების რიცხვი დღითი-დღე იზრდება ცარცვა-გლეჯა გამრავლდა.

რუსეთი

პეტერბურგი. „ოდესკი ლისტოკის“ და „იალტინსკი ვესტნიკის“ რედაქტორები პასუხის გებაში არიან მიცემულნი, ყალბი ცნობის მოთავსებისათვის. რკინის ახალ გზების გასაყვანად 1913 წლისთვის, საჭიროა 110 მილიონი.

სარატოვი. სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს სათათბიროს ნადეპუტატარი მასლენიკოვი და ქალაქის მოურავი ნემიროვსკი.

გუბერნატორის დაჭრა.

ჩიტა. მარიამ სმოლიანინოვისამ ხანჯლით ზურგში დასჭრა გუბერნატორი კიაშკო. დამნაშავე შეიპყრეს.

უცხოეთი

გერმანიის სოც.-დემოკრატული პარტიის კრება.

დასრულდა გერმანელ სოც.-დემოკრატების პარტიული კრება. წრევანდელი სხდომები უწინდელთან შედარებით ძლიერ მშვიდი ხასიათისა იყო, არ სჩანდა ისეთი გამწვავებული დამოკიდებულება ორტოდოქსებსა და რევიზიონისტებს შორის, რომელიც უწინ დიდ მღელვარებასა და მითქმა-მოთქმას იწვევდა. კონგრესზე ისეთი განწყობილება დამკვიდრდა თავიდანვე, თითქოს მონაწილენი ერიდებოდნენ პრინციპიალური საკითხების შესახებ კამათს, ამიტომ სხდომებს საქმიანობა ეტყობოდა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში იჩინა სავსებით თავი ძველმა ანტაგონიზმმა, სახელდობრ ჟურნალისტ ჰილდებრანდის პარტიიდან გამორიცხვის დროს. ჰილდებრანდი ამ ათი წლის წინად მიემხრო სოც.-დემოკრატებს, უწინ კი ხალხურ-სოციალისტურ პარტიას ეკუთვნოდა. და აი მან დასწერა წიგნი რომელშიც არკვევდა საახალშენო და საბაჟო კითხვებს, არკვევდა ისეთი თვალსაზრისით, რომელიც არ ეთანხმებოდა სოც.-დემოკრატების ჩვეულებრივ შეხედულებას. მთავარი დებულება ჰილდებრანდის წიგნისა შემდეგია: არა—ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარება, როგორც მაგ.,—ჩინეთისა და სხვათა, ისეთი გზით მიმდინარეობს, რომ ერთხელაც იქნება იგი დიდ საფრთხეს დაუყენებს წინ კონკურენციის სახით, როგორც ევროპის მრეწველობას, ისე მუშათა კლასსაც. ჰილდებრანდის აზრით, როდესაც ასეთი დრო დადგება, ევროპის სახელმწიფოები, არა თუ მარტო კაპიტალისტთა ინტერესების დასაცავად, არამედ თვით მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, იძულებული იქნებიან შემოიღონ საერთო საბაჟო ფედერაცია პროტექციონული ზღუდეებით და საერთო ახალშენებით, სადაც ბაზარი ექნება ევროპის მრეწველობის ნაწარმოებთ. ამ საკითხის განხილვის დროს პარტეიტაგის უმრავლესობამ ძველებური შეურიგებლობა გამოიჩინა და პარტიიდან გამორიცხა ჰილდებრანდი, რათა დაცულ იქნას „პარტიული ერთობა“, როგორც კლარა ცეტკინის ქალმა განაცხადა.

დიდად მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე კამათი სოც.-დემოკრატებისა და თავისუფლად მოაზროვნეთა შეთანხმების შესახებ უკანასკნელი არჩევნების დროს. ამ შეთანხმების წყალობით თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიამ ხელმეორედ კენჭის ყრის დროს ბევრი საარჩევნო ოლქი შეიძინა, რომელიც უბლოკოდ უეჭველად რეაქციონერებს ჩავუარდებოდათ ხელში. ასეთი შეთანხმება, რასაკვირველია, გვარიანი შესწორებაა სოც.-დემოკრატული ტაქტიკისა, რომლის აზრითაც ყველა ბურჟუაზიული პარტია, მემარცხენეა იგი, თუ მემარჯვენე, თანაბრად რეაქციონურია. მომხსენებელ—დეპუტატის შეიდემანის მშვენიერი სიტყვის შემდეგ, კრებამ დაადასტურა ცენტრალური კომიტეტის მოქმედება ამ საქმეში. პარტეიტაგის ასეთ დასტურს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, არა თუ მხოლოდ წარსულისათვის, არამედ უფრო მეტად მომავლისათვის, რადგან იგი წინდაწინვე სწყვეტს თავისუფლად მოაზროვნეთა პარტიასთან შეთანხმების საკითხს გაისის არჩევნებზე პრუსიის ლანდტაგში. კრებამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, პრუსიის იუნკრულ ლანდტაგში მემარცხენეთა ელემენტის გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია. აი სწორედ ამ მოსაზრებით დაადასტურა მან ცენტრალური კომიტეტის კომპრომისული საარჩევნო ტაქტიკა.

ჩინეთის ახალი პრემიერ-მინისტრი.

ახლად გადაყენებულ ლუჩჯსიანის მაგიერ პრემიერ-მინისტრის პორტფელი მისცეს შინაგან საქმეთა მინისტრს ჩჯაობინძიუნს. ახალი პრემიერი პრეზიდენტის დამქაშია. კარიერა დაიწყო პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და მუდამ მისი მომხრე იყო. ჯერ შინაურ საქმეთა მინისტრობის დროს. ჩჯაობინძიუნის მოქმედება სრულიად ეთანხმებოდა პრეზიდენტის მოქმედებას. ახალი პრემიერის არჩევით პრეზიდენტმა ზურგი გაიმაგრა მინისტრთა საბჭოში. ჩინეთშიაც და საზღვარ-გარედაც მინისტრთა საბჭოს, უინიციატივობას უსაყვედურებენ. თაოსნობის უქონლობა ეხლა უფრო შეეტყობა, რადგანაც საბჭოს სათავეში უდგა პრეზიდენტის პოლიტიკის ბრმად მიმდევარი პრემიერი.

სომხების უმწეო მდგომარეობა ოსმალეთში.

ქურთებისაგან აწიოკებულმა სომხებმა პორტის დახმარების იმედი გადაიწყვიტეს, ამის გამო მიჰმართეს ავსტრიას, დაგვეხმარე, და ამ შევიწროვებისაგან გვიხსენიო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ნ. შიუკაშვილის „მთის ზღაპრის“ დეკორაციები უკვე მზად არის. გუშინდელს აქეთ მსახიობნი დადგმულ დეკორაციებით გადიან რეპეტიციებს. დიდად შთაბეჭდილებას ახდენს მაღალ და ახოვან მთების სურათები. დღეს საღამოთი მოხდება მთავარი გენერალური რეპეტიცია „**მთის ზღაპრისა**“. პიესაში მონაწილეობენ: ვალ. უნია, თ. გოგოლაშვილი; ი. ზარდალიშვილი, ვ. მაღალაძე, ე. ჩერქეზიშვილი, არ. ლოლუა, დ. მგალობლიშვილი და სხვანი. პიესა იდგმება რეჟისორის ვალ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით. ხვალ, 20 სექტემბერს დანიშნულია პირველი წარმოდგენა „**მთის ზღაპრისა**“.

სახაზინო თეატრი. პირველმა სამმა წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ერთბაშად გამოაჩინა, რომ წრევანდელ სეზონში თუ უკეთესი არა, შარშანდელზე ნაკლები ძალები არ იქნებიან.

„ციზნ ზა ცარია“, „დემონი“ და „აიდა“,—აი ის სამი ოპერა, რომელმაც პირველადვე მიიზიდა საზოგადოების ყურადღება. ტფილისის საზოგადოების ნაცნობ ლაზარევსა, ალეშკოსა, კოველკოვსა და ზოგოლევსკის გარდა, ამ სამს წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა რიოლიმ (თამარი) კაიდანოვმა (სუსანინი), იაროსლავსკიმ (დემონი) და სხვებმა.

კარგად შეხმატკბილებული ხოროც მშვენიერად უწყობს ხელს ანსამბლს. საზოგადოდ პირველმა წარმოდგენებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

დღეს, 19 ენკენისთვეს, წარმოდგენილ იქნება მეორედ „დემონი“, რომლისთვისაც ახალი დეკორაციები დახატული, ხვალ კი „ევგენი ონეგინი“.

ჭიათურა. ჭიათურის თეატრის წლევანდელი სეზონი, დიდ ვერაფერ იმედებს აძლევს ჭიათურის საზოგადოებას. გასულ ორი წლის მუშაობა-საქმიანობის მხოლოდ ლა აჩრდილს ვხედავთ მიმდინარე სეზონში. არ გვყავს რეჟისორი, არც ასე თუ ისე კარგად მომზადებული, დახელოვნებული მსახიობი!.. ვისი ბრალია ეს? დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა, თუ იმის, რომ დღეს მსახიობთა საკმაო რიცხვი არ მოიპოვება? ვიცით, რომ ქუთაისში, ბათუმში და ტფილისში დასები უკვე შეადგინეს და მუშაობასაც შეუდგნენ. ასევე მოხდებოდა აქაც,—რეჟისსორს მაინც მოიწვევდენ,—რომ **დრ. საზ. წარმომადგენელი** ამ საქმეზე ადრე ზრუნვას შესდგომოდა. ბოლო დროს დაიწყეს რეჟისორისა და მსახიობების მოწვევის საქმე, მაგრამ გვიანღა არის, მსახიობები ყველგან ხელ-შეკრულობით მუშაობენ.

წარსულ ორი წლის მუშაობამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ საზოგადოებამ თეატრი შეიყვარა. ქიათურის თეატრი შარშან და შარშანწინ ჩვენს პირველ-ხარისხოვან თეატრებს ედგა გვერდში და ეს, სხვათა შორის, კარგ ხელმძღვანელთა მეოხებით ხდებოდა. ბ-ნ წუწუნავასა და შალიკაშვილის ცოდნა და მუშაობა, ნაყოფიერი იყო საქმისათვის. სცენის მოყვარენიც მათთან ენერგიულად მუშაობდნენ და ხალხიც კმაყოფილი რჩებოდა..

დღეს კი ქიათურის სცენა ობოლობას განიცდის. მიწვეულია მსახიობი ბ-ნი ბარათაშვილი, მაგრამ მარტო ის ვერ დააკმაყოფილებს თეატრის მოთხოვნილებას... ან უნდა განაგრძონ მუშაობა ადგილობრივმა ძალებმა-სცენის მოყვარეებმა, ან და უნდა შეჩერდეს იგი, მიუხედავად იმისა, რომ თეატრს შავი-ქვის მრეწველთა საბჭო დახმარებას ჰპირდება.

ადგილობრივი სცენის უნაყოფო, ან ნაყოფიერი მოქმედება. დამოკიდებულია, გამგეობის მუშაობაზე და ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება თეატრის უკვე დასახელებულ ახლანდელ მდგომარეობას.

პირველი წარმოდგენა მიმდინარე სეზონში კვირას, 16 ამთვეს, გაიმართა. წარმოადგინეს 3 მოქ. პიესა „ორი დარაჯი“ – მელოდრამა-იტალიელ ჯარის კაცთა ცხოვრებიდან. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი მსახიობ ქ-ნ ბარათაშვილის მონაწილეობით. ქ-ნი ბარათაშვილი პირველათ გამოდის აქ, სცენაზე, და საზოგადოების ყურადღებაც უმთავრესად მისკენ იყო მიქცეული!.. პიესაში მას პასუხსაგები როლი ჰქონდა (სოფიოსი).

საერთოდ ვიტყვით, რომ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. თამამად ითქმის, რომ ქიათურის სცენის მოყვარენი, ერთ კარგ რეჟისორის ხელმძღვანელობით, კარგი მსახიობების როლებს შეასრულებენ.. ვუსურვებთ მათ, რომ თავიანთ ჩვეულებრივი ენერგიით კვლავ საქმეს შესდგომოდნენ—მით უმეტეს, რომ დღეს უფრო საჭიროა.

ტიერ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

თმის
სალბუნი
კაკლის ექსტრაქტისა.

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაც-ქერა ფრად, თუ კუმტშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. თევდ. მიულჰანსი,
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ ● რ იგა.
დაარს. 1792 წ.

ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ. დიდი ფლაკ. 2 მან. 309266 Метцл. 309286. 10—1432—3)

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სად. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სად. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სად. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სად. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, სად. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 სად. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე სად. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით სად. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე სად. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით სად. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, **№ 34**, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 1--12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.62)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეჟტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბეჟტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1078.216)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.12)

ვაკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას.
4. ყოველგვარ აზრების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას.

მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.** (25.1496.9)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

- I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
- II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
- III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ 65 კ.
- IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.36)

მიიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.
თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი
ლოქო
და კობრი, |საზანი.|

(წ.1131.255)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.